



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 267/ს
14/06/2023

267-21-4-202306141743



**ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ურეკში ფ/პ ზურაბ ფილიპიას
ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგური) მოწყობასა და
ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ**

ფ/პ ზურაბ ფილიპიას მიერ გზმ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ურეკში ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგური) მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ავტოგასამართი სადგურის მოწყობა დაგეგმილია ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ურეკში, 881 მ² ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, რომელიც წარმოადგენს ფ/პ ზურაბ ფილიპიას საკუთრებას (ს/კ: 26.28.21.008). საპროექტო ტერიტორიის GPS კოორდინატებია: X-730310, Y-4653260. ავტოგასამართი სადგურიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დამორებულია დაახლოებით 240 მეტრით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე გათვალისწინებულია შემდეგი ინფრასტრუქტურული ობიექტები: საოფისე შენობა, საოპერატორო, სველი წერტილი (საპირფარეშო), საწვავმარიგებელი სვეტების ფარდული, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემა, მეხამრიდი, შემკრები ღარები და სალექარი. ობიექტზე ასევე განთავსდება ნავთობპროდუქტების შესანახი 4 ცალი რეზერვუარი (ჯამურად 66 250 ლ), რომელთაგან 2 ცალი (24 553 ლიტრი და 8 051 ლიტრი) განკუთვნილი იქნება დიზელის საწვავისათვის, ხოლო 2 ცალი (24 553 ლიტრი და 9 093 ლიტრი) - ბენზინის საწვავისათვის. საპროექტო რეზერვუარები დამზადდება ლითონისაგან, დაიფარება ანტიკოროზიული ნივთიერებებით და აღიჭურვება სასუნთქი სარქველებით (სიმაღლე - 2 მ, დიამეტრი - 0.05 მ). რეზერვუარები განთავსდება მიწისქვეშა სარკოფაგში და მათ შორის არსებული სიცარიელები შეივსება ქვიშა-ღორღის ფრაქციით. საწვავის მიღებისას გათვალისწინებული იქნება ავტოცისტერნის დაერთება დამიწების ჭანჭიკზე. რეზერვუარებში საწვავის მიღება განხორციელდება ავტოცისტერნების საშუალებით, რომელიც დაერთდება ტერიტორიაზე განთავსებულ ჩამსხმელ დგარზე, საიდანაც საწვავი, მიწისქვეშა მილსადენების მეშვეობით, მიეწოდება საწვავმარიგებელ სვეტებს და მოხდება საწვავის მომხმარებელზე გაცემა.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ობიექტზე წლის განმავლობაში დაგეგმილია 2 000 000 ლიტრი ბენზინისა და 2 000 000 ლიტრი დიზელის საწვავის რეალიზაცია.

ავტოგასამართი სადგურის სამუშაო რეჟიმი იქნება წელიწადში 365 დღე, დღე-ღამეში 24 საათი და დასაქმდება 9 ადამიანი.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციისას სამეურნეო-საყოფაცხოვრებო დანიშნულებით წყალაღება განხორციელდება დაბა ურეკის წყალმომარაგების სისტემიდან, ხოლო სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები ჩაშვებული იქნება ურეკის ცენტრალურ საკანალიზაციო ქსელში. ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტები, შემკრები ღარების გავლით, შეგროვდება 1 მ³ მოცულობის სალექარში. ობიექტის პერიმეტრზე (გადახურვის გარეთ) წარმოქმნილი სანიაღვრე წყლები ჩაშვებული იქნება საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ არსებული საავტომობილო გზისა და საპროექტო ტერიტორიის საზღვარზე მდებარე სანიაღვრე არხში. ვინაიდან, საწვავმარიგებელი სვეტები განთავსდება გადახურულ ნაგებობაში, სანიაღვრე წყლების ნავთობპროდუქტებით დაბინძურება მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაციის ეტაპზე ადგილი ექნება მავნე ნივთიერებათა წარმოქმნას და მათ ატმოსფერულ ჰაერში. ობიექტის მიერ ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებას წარმოადგენს ნავთობპროდუქტების ნახშირწყალბადები, რომელთა მაქსიმალური ინტენსივობა ფიქსირდება საწვავის მიღების, შენახვისა და რეალიზაციისას. აღსანიშნავია, რომ ნავთობპროდუქტების შესანახი რეზერვუარები განთავსებული იქნება მიწის ქვეშ, რაც ამცირებს მათზე გარემო ფაქტორების (მზის გამოსხივება, ტემპერატურა და ა.შ) უარყოფითი ზემოქმედების რისკს, ასევე, ზღუდავს გაფრქვევათა შორ მანძილებზე გავრცელების საფრთხეს. აღნიშნულიდან გამომდინარე, გაფრქვევები ლოკალიზებულია ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე და იშვიათად სცილდება სადგურის განთავსების ტერიტორიის საზღვრებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ავტოგასამართი სადგურის ექსპლუატაცია არ უკავშირდება ხმაურის წარმოქმნილი დანადგარების გამოყენებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, შესაბამისად, ობიექტის ფუნქციონირება არ არის დაკავშირებული ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელ ზემოქმედებასთან. რაც ობიექტის მოწყობისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოებს, მათი მასშტაბის და უახლოეს მოსახლესთან დაშორების მანძილის გათვალისწინებით, ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელებით მოსალოდნელი ზემოქმედება იქნება უმნიშვნელო.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ავტოგასამართი სადგურის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელია საყოფაცხოვრებო, ინერტული და სახიფათო ნარჩენის წარმოქმნა, რომლებიც შეგროვდება სეპარირებულად, სპეციალურ კონტეინერებში. საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა მოხდება ხელშეკრულების საფუძველზე, შესაბამისი მუნიციპალური სამსახურის მიერ, ხოლო სახიფათო და სალექარში წარმოქმნილი ნარჩენები შემდგომი მართვის მიზნით, გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე კომპანიას. მიწის სამუშაოებისას წარმოქმნილი ინერტული ნარჩენი გამოყენებული იქნება საპროექტო ტერიტორიის მოსაშენდაკვებად.

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, ობიექტი არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიების სიახლოვეს, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს ათვისებულ, ანთროპოგენურად სახეცვლილ, მოსწორებულ მიწის ნაკვეთს, სადაც არ ფიქსირდება ნიადაგის ნაყოფიერი

ფენა და მცენარეული საფარი. ობიექტის სიახლოვეს არ არის ცხოველების ბინადრობისათვის ხელსაყრელი პირობები. ამასთან, დაგეგმილი საქმიანობა არ ითვალისწინებს მასშტაბური და მოცულობითი სამშენებლო სამუშაოების ჩატარებას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ნავთობპროდუქტების საცავის მოწყობა და ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული გარემოს აღნიშნულ კომპონენტებზე მოსალოდნელ ზემოქმედებასთან.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფასა და ოფიციალურ ვებგვერდზე. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ დაგეგმილი საქმიანობის მასშტაბის, სპეციფიკისა და საპროექტო პარამეტრების გათვალისწინებით, გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.


ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის მე-6 პუნქტის 6.3 ქვეპუნქტის საფუძველზე:

ბრძანებ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, დაბა ურეკში ფ/პ ზურაბ ფილიპიას ნავთობპროდუქტების საცავის (ავტოგასამართი სადგური) მოწყობა და ექსპლუატაცია არ **დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ფ/პ ზურაბ ფილიპია ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყონებლივ გაეგზავნოს ფ/პ ზურაბ ფილიპიას;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს ფ/პ ზურაბ ფილიპიას მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ.აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.



ნინო თანდილაშვილი

A handwritten signature in blue ink, appearing to be 'ნ. თანდილაშვილი', written over the printed name.

სააგენტოს უფროსის დროებით ფუნქციების შემსრულებელი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო